სსიპ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

კახეთის გზატკეცილი #99, თბილისი, 0198, საქართველო
ტელ: (+995 322 116 001); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; Web:www.ncdc.ge

კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის და სტრატეგიული დოკუმენტის პროექტზე ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების მიმართულებით საექსპერტო კომიიის სხდომის ოქმი

შეხვედრის დეტალები:	
შეხვედრის ადგილი	სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
შეხვედრის თარიღი	10 აგვისტო, 2020 წელი
შეხვედრის დაწყების დრო	14:00 სთ
შეხვედრის დასრულების დრო	14:45 სთ
სხდომის ორგანიზატორი	სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (დკსჯეც), გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი
სხდომის მონაწილეები	საექსპერტო კომისიის წევრები

საექსპერტო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის წევრები: **მარინა ბაიდაური** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პოლიტიკის დეპარტამენტის ჯანმრთელობის დაცვის პოლიტიკის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი);

ნანა გაბრიაძე - დკსჯეც, გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის უფროსი(კომისიის თავმჯდომარე);

ნანა მებონია - დკსჯეც, ქრონიკული დაავადებების და ტრავმატიზმის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ღამბაშიძე -დკსჯეც, მონაცემთა ანალიზის და წარდგენის სამმართველოს უფროსი;

ქეთევან ზარიძე - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის მდივანი);

თამარ ქაშიბაძე - გარემოს ჯანმთელობის დეპარტამენტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი).

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ლევან ბაიდოშვილი - ალიმენტური, ნოზო კომიური და პარაზიტული დაავადებების სამმართველოს უფროსი (კომისიის წევრი);
ნინო გიუაშვილი - კონსულტანტი (კომისიის წევრი);
ნანული ნინაშვილი - გარემოს რისკ-ფაქტორების შეფასების და მონიტორინგის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი (კომისიის წევრი);
ნინო დედაბრიშვილი - გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი (კომისიის წევრი);
ხათუნა ფირანიშვილი - იურიდიული სამმართველოს მთავარი სპეციალისტი (კომისიის წევრი).

საექსპერტო კომისიის სხდომის მოწვევის საფუძველი:

საქართველოს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 27. „სგშ-ის ანგარიშის განხილვა და რეკომენდაციების გაცემა";
"გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N 420 დადაგენილების მე-6 მუხლის მე-6, მე-7 და მე-8 პუნქტების შესრულების შესაბამისად „სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის ბრძანება #06-105/ო (22.05.2020წ.) - კურორტ „ლებარდე"- ს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და
სტრატეგიული განაშენიანების რეგულირების გეგმის დასკვნის და რეკომენდაციების გასაცემად კომისიის მოწვევს შესახებ

სხდომის განხილვის მიზანი:

1. კურორტ ლებარდეს განაშენიანების გეგმის და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის განხილვის საფუძველზე ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასება
2. პროექტის განაშენიანების გეგმის განხორციელების ეტაპისთვის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შესახებ დასკვნის მომზადება და შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა

განხილულ იქნა შემდეგი დოკუმენტები

1. დამგეგმავის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია:
   ა) კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიში
   ბ) კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების არატექნიკური რეზიუმე
   გ) განაშენიანების რეგულირების გეგმის ზონირების ნაწილი რუკებით

2. დკსჯეც მიერ გაცემული „კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგგმის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სკოპინგის დასკვნა" (დანართი 1).
3. საჯარო განხილვის ოქმი, რომელიც გაიმართა მარტვილის რაიონი სოფ. კურზუში (დანართი 2).

სხდომის მსვლელობა:

სსიპ ლ. საყვარელიძის დაავადებათა კონტროლისა
და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი
კახეთის გზატკეცილი #99, თბილისი, 0198, საქართველო
ტელ: (+995 322 116 001); ელ.ფოსტა: ncdc@ncdc.ge; Web:www.ncdc.ge

მიმდინარე წლის 10 აგვისტოს 14:00 საათიდან 14:45 საათის ჩათვლით დკსჯეც-ში გაიმართა შეხვედრა კურორტ ლებარდეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშის და განაშენიანების გეგმის განხილვის მიზნით და საბოლოო დასკვნისა და რეკომენდაციების გასაცემად.

სხდომა გახსნა ნანა გაბრიაძემ და კომისიის წევრებს გააცნო კურორტ ლებარდეს სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარისა და განაშენიანების გეგმაში მოცემული ინფორმაცია და პროექტის ავტორებთან შეხვედრის და საჯარო განხილვის შედეგები. კომისიის წევრებს დაურიგდათ საჯარო განხილვის ოქმი.

შეხვედრაზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები -

- **ტერიროტიული მოწყობა და განაწილება ფუნქციური სივრცეების მიხედვით**

კომისიის წევრებს განემარტათ, რომ განაშენიანების გეგმის მიხედვით, დასახლებული ტერიტორიები განფენილი იქნება 2-3 სართულიანი კოტეჯების ტიპის შენობებით კურორტის გეო-ჰიდროლოგიური და სეისმოლოგიური თავისებურების გათვალისწინებით და მთლიანობაში 1200 დამსვენებელზე იქნება გათვალისწინებული. ტურისტულ-ატრაქციულ სივრცეებად დაყოფა/ზონირება მკაცრად განსაზღვრული იქნება რისკების შემცირების და სახიფათოობის გათვალისწინებით

- **ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების საკითხი**

ამ მიმართულებით პროექტი ითვალისწინებს შემარბილებელი ღონისძიებების სათანადოდ გატარებას, რაც ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკებს მინიმუმამდე ამცირებს, ამიტომ რეკომენდაციები ამ მიმართულებით არ გამოთქმულა.

- **მიწისქვეშა ავტოპარკის მოწყობა ზვავსაშიში ტერიტორიის ბოლო გამოსავალთან**

ავტოპარკის მოწყობასთან დაკავშირებით ნ. გაბრიაძემ და ქ. ზარიძემ კომისიის სხვა წევრებს განუმარტეს, რომ პროექტის ავტორებთან შეხვედრისას დეტალურად იქნა აღწერილი მიწისქვეშა ავტოპარკის მოწყობა, რომელიც მიწის ზედაპირზე გადახურული კონსტრუქციით დასრულდება და სრულიად უსაფრთხო იქნება ზვავსაშიშროებისგან, შესაბამისი რისკების შეფასების გათვალისწინებით.

- **სასმელი წყლის ხარისხი და წყალმომარაგება**

კომისიის წევრების განმარტებით სასმელი წყლის საკითხი (წყლის დებიტი, სასმელი წყლის ხარისხი, სათაო ნაგებობების მოწყობა და ადეკვატური მომარაგება) უმნიშვნელოვანესია, ყველა განაშენიანების პროექტისათვის, და განსაკუთრებით ისეთი კურორტული ზონისათვის, როგორიც ლებარდეა. ამ მიზნით, აუცილებელია რეკომენდაციები გაიცეს პროექტის განხორციელების ეტაპზე წყლის ხარისხის შემოწმების შესახებ და ადექვატური მომსახურების/მიწოდების გეგმის /სტრატეგიის შემუშავებაზე.

- **ნარჩენების მართვა**

ნარჩენების მართვასთან მიმართებაში ორი მიმართულებით გაკეთდა აქცენტები ა. ჩამდინარე წყლების მართვა და ბ. ინფექციური/სამედიცინო მომსახურების შედეგად წარმოქმნილი (სახიფათო) ნარჩენები.

ნ. გაბრიაძის და ქ. ზარიძის განმარტებით, დამგეგმავ ორგანოს მიეცემა რეკომენდაცია პროექტის განხორციელების ეტაპზე წარმოადგინოს ნარჩენების მართვის გეგმა, რომელშიც ასახული იქნება სახიფათო ნარჩენების მართვა/განკარგვის საკითხები.

- **სამედიცინო მომსახურება და სამედიცინო პუნქტის მოწყობა**

  სამედიცინო პუნქტის მოწყობასთან დაკავშირებით კომისიის წევრებს განემარტათ, რომ ვინაიდან პირველადი დახმარების სამედიცინო დაწესებულების მინიმალური მოთხოვნა გულისხმობს დამატებით იზოლირებული ოთახის მოწყობას (გადამდები დაავადებების შემთხვევაში (იზოლატორი)), დამგეგმავი ორგანოსთვის აუცილებელია აღნიშნულის გათვალისწინება, რაზეც კომისიის წევრები (ნ. მებონია, მ. ბაიდაური) დაეთანხმენ და რეკომენდაციის სახით უნდა გაიცეს სამედიცინო მომსახურების პუნქტისთვის საჭირო მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილება.

- **ლებარდეს მინერალური წყლის კონდიციის შესწავლა**

გამოითქვა აზრი, რომ შესწავლილ იქნეს დამატებით მინერალური წყლის კონდიცია სამომავლოდ (მ.ბაიდაური) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2002 წლის 5 ნოემბრის №310/ნ ბრძანების „სამკურნალო კატეგორიას მიკუთვნებული წყლის ობიექტების ნუსხისა და მინერალური წყლის ხარისხისადმი წაყენებული ჰიგიენური მოთხოვნების დამტკიცების თაობაზე" შესაბამისად.

- **მინერალური წყლის ლებარდეს სანიტარული დაცვის ზონების დადგენა კურორტის და მის მიმდებარე ტერიტორიებზე**

ნ. გაბრიაძემ აცნობა კომისიის წევრებს, რომ პროექტის ავტორებთან და საჯარო განხილვის შეხვედრებისას იმსჯელეს მინერალური წყლის სანიტარიული დაცვის ზონების დადგენაზე და დამგეგმავი ორგანო თანახმაა გაითვალისწინოს აღნიშნული პროექტის განხორციელების ეტაპზე.

სხდომის დასკვნა:

საექსპერტო კომისიამ დადებითად შეაფასა კურორტ ლებარდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის და სტრატეგიული გარემოსდაცვით შეფასების ანგარიში. გადაწყდა, რომ დიკუმენტაციის განხილვის საფუძველზე გაიცემა შესაბამისი რეკომენდაციები ჯანმრთელობაზე ზემოქმედების რისკების შერბილება/შემცირების თვალსაზრისით კანონმდებლობით დადგენილი წესისა და ვადების გათვალისწინებით.

საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე: ნ. გაბრიაძე /ნ. გაბრიძე/

კომისიის მდივანი: /ქ.ზარიძე/

თარიღი: 10 აგვისტო 2020წ.